<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

ძირითადი კანონპროექტიდან (საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (№07-3/433, 03.04.2024)) და ალტერნატიული საკანონმდებლო პაკეტებიდან (საქართველოს კანონების პროექტები: „ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის ფედერაციის გავლენებისგან დაცვის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/434, 04.04.2024); საქართველოს კანონების პროექტები: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/435, 08.04.2024)) ერთ-ერთის საფუძვლად მიღების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 108-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საფუძვლად იქნეს მიღებული ძირითადი კანონპროექტი – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (№07-3/433, 03.04.2024).

2. უარყოფილ იქნეს ალტერნატიული საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს პარლამენტის წევრების: ბექა ლილუაშვილის, ანა ბუჩუკურის, მიხეილ დაუშვილის, შალვა კერესელიძისა და თეონა აქუბარდიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის ფედერაციის გავლენებისგან დაცვის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/434, 04.04.2024).

3. უარყოფილ იქნეს ალტერნატიული საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს პარლამენტის წევრების: ბექა ლილუაშვილისა და მიხეილ დაუშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/435, 08.04.2024).

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი

თბილისი,
2024 წლის ... აპრილი.